

რედაქციული ხასიათის შესწორებები

გამოქვეყნების თარიღი: 2019 წლის მაისი

რედაქციული ხასიათის შესწორებები ეხება უმნიშვნელო უზუსტობებს, მათ შორის მართლწერასა და ნუმერაციას, ან გრამატიკულ შეცდომებს.

ამ დოკუმენტში მოცემულია მხოლოდ სავალდებულო და ძირითად არასავალდებულო ტექსტებში შესატანი შესწორებები, როგორცაა დასკვნის საფუძვლები, საილუსტრაციო მაგალითები და დანერგვის სახელმძღვანელო მითითებები. სხვა ნაწილების შესწორებები, მათ შორის შესავლების, არ გამოქვეყნდება. ტექნიკური შეცდომების აუცილებელი გადაუდებელი შესწორებები ქვეყნდება *დაუყოვნებლივ*.

თუ თქვენ გაინტერესებთ ინფორმაცია ისეთი ცვლილებების შესახებ, რომლებიც არ ქვეყნდება, ან აღმოაჩენთ შეცდომას, რომელიც ჩვენ უნდა გავასწოროთ, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ მისამართზე editorial@ifrs.org.

სარედაქციო კოლეგია

შინაარსი

შესწორებები ანოტირებული გამოცემული ფასს[®] სტანდარტების (2019), გამოცემული ფასს[®] სტანდარტების (2019), ანოტირებული მოთხოვნილი ფასს[®] სტანდარტებისა (2019) და მოთხოვნილი ფასს[®] სტანდარტებისთვის (2019).

შესწორებები ანოტირებული გამოცემული ფასს[®] სტანდარტების (2019), გამოცემული ფასს[®] სტანდარტების (2019), ანოტირებული მოთხოვნილი ფასს[®] სტანდარტებისა (2019) და მოთხოვნილი ფასს[®] სტანდარტებისთვის (2019)

შემდეგი რედაქციული ხასიათის შესწორებები ეხება იმ შეცდომებს, რომლებიც დაშვებული იყო ანოტირებული გამოცემული ფასს[®] სტანდარტების (2019) (ანოტირებული წითელი წიგნი; 'BV-ARB'), გამოცემული ფასს[®] სტანდარტების (2019) (წითელი წიგნი; 'BV-RB'), ანოტირებული მოთხოვნილი ფასს[®] სტანდარტების (2019) (ანოტირებული ლურჯი წიგნი; 'BV-ABB') და მოთხოვნილი ფასს[®] სტანდარტების (2019) (ლურჯი წიგნი; 'BV-BB') გამოცემისას. თავდაპირველი ცალკეული პუბლიკაცია (პირველწყარო) არ შეიცავს ამ შეცდომებს და, მათთან დაკავშირებით, ეს შესწორებები მათ არ ეხება.

სვეტში 'თავდაპირველი დოკუმენტი და მითითება' მითითებულია გამოცემა, სადაც შეცდომა პირველად იყო დაშვებული. დასამატებელი, გასაუქმებელი ან შესაცვლელი ტექსტი წითელი შრიფტით არის გამოყოფილი. განმარტებითი ინფორმაცია მოცემულია კვადრატულ ფრჩხილებში.

- **ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა**
- **ფასს-ების ფონდის პროცედურული პროცესის სახელმძღვანელო**

თავდაპირველი დოკუმენტი და მითითება	სხვა პუბლიკაციები, რომლებზეც გავლენას ახდენს შესწორება	ინსტრუქცია	ტექსტი შესწორების შემდეგ
ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა			
BV-RB გვ. A939 ბასს 1 მე-7 პუნქტი	BV-ARB გვ. A1093 ბასს 1 მე-7 პუნქტი	შემდეგ ორ ტექსტს შორის: „განმარტებით შენიშვნებში მოცემულია ამ ანგარიშგებებში წარმოდგენილი მუხლების სიტყვიერი დახასიათება, ან მათ შესახებ დეტალიზებული მონაცემები, ასევე ინფორმაცია იმ მუხლების შესახებ, რომლებიც არ აკმაყოფილებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს.“ და „სხვა სრული შემოსავალი შედგება შემდეგი ელემენტებისგან: ...“ „ სხვა სრული შემოსავალი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების იმ ელემენტებისაგან (მათ შორის, რეკლასიფიკაციით გამოწვეული კორექტირებებისგან), რომლებიც აღიარებული არ არის მოგებაში ან ზარალში, როგორც მოითხოვება ან დაშვებულია სხვა ფასს სტანდარტებით. “	„განმარტებით შენიშვნებში მოცემულია ამ ანგარიშგებებში წარმოდგენილი მუხლების სიტყვიერი დახასიათება, ან მათ შესახებ დეტალიზებული მონაცემები, ასევე ინფორმაცია იმ მუხლების შესახებ, რომლებიც არ აკმაყოფილებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს. სხვა სრული შემოსავალი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების იმ ელემენტებისაგან (მათ შორის, რეკლასიფიკაციით გამოწვეული კორექტირებებისგან), რომლებიც აღიარებული არ არის მოგებაში ან ზარალში, როგორც მოითხოვება ან დაშვებულია სხვა ფასს სტანდარტებით. სხვა სრული შემოსავალი შედგება შემდეგი ელემენტებისგან: ...“

<p>BV-RB გვ. A940</p> <p>ბასს 1 მე-7 პუნქტი</p>	<p>BV-ARB გვ. A1094</p> <p>ბასს 1 მე-7 პუნქტი</p>	<p>წაშალეთ დუბლირებული ტექსტი:</p> <p>მესაკუთრეები არიან საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელები.</p> <p>მოგება ან ზარალი არის შემოსავლების ჯამს გამოკლებული ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გარეშე.</p> <p>რეკლასიფიკაციის კორექტირებები არის თანხები, რომლებიც ახალი კლასიფიკაციით მიმდინარე პერიოდში გადატანილია მოგებაში ან ზარალში და მანამდე, მიმდინარე ან წინა პერიოდებში, აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში.</p> <p>მთლიანი სრული შემოსავალი არის პერიოდის მანძილზე სამეურნეო ოპერაციებითა და სხვა მოვლენებით განპირობებული საკუთარი კაპიტალის ცვლილება, იმ ცვლილებების გარდა, რომლებიც გამოწვეულია მესაკუთრეებთან, როგორც აქციონერებთან შესრულებული ოპერაციებით.</p> <p>მთლიანი სრული შემოსავალი მოიცავს „მოგების ან ზარალის“ და „სხვა სრული შემოსავალი“ მუხლების ყველა კომპონენტს.</p> <p>მესაკუთრეები არიან საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელები.</p> <p>მოგება ან ზარალი არის შემოსავლების ჯამს გამოკლებული ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გარეშე.</p> <p>რეკლასიფიკაციის კორექტირებები არის თანხები, რომლებიც ახალი კლასიფიკაციით მიმდინარე პერიოდში გადატანილია მოგებაში ან ზარალში და მანამდე, მიმდინარე ან წინა პერიოდებში, აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში.</p> <p>მთლიანი სრული შემოსავალი არის პერიოდის მანძილზე სამეურნეო ოპერაციებითა და სხვა მოვლენებით განპირობებული საკუთარი კაპიტალის ცვლილება, იმ ცვლილებების გარდა, რომლებიც გამოწვეულია მესაკუთრეებთან, როგორც აქციონერებთან შესრულებული ოპერაციებით.</p> <p>მთლიანი სრული შემოსავალი მოიცავს „მოგების ან ზარალის“ და „სხვა სრული შემოსავალი“ მუხლების ყველა კომპონენტს.</p>	<p>მესაკუთრეები არიან საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელები.</p> <p>მოგება ან ზარალი არის შემოსავლების ჯამს გამოკლებული ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გარეშე.</p> <p>რეკლასიფიკაციის კორექტირებები არის თანხები, რომლებიც ახალი კლასიფიკაციით მიმდინარე პერიოდში გადატანილია მოგებაში ან ზარალში და მანამდე, მიმდინარე ან წინა პერიოდებში, აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში.</p> <p>მთლიანი სრული შემოსავალი არის პერიოდის მანძილზე სამეურნეო ოპერაციებითა და სხვა მოვლენებით განპირობებული საკუთარი კაპიტალის ცვლილება, იმ ცვლილებების გარდა, რომლებიც გამოწვეულია მესაკუთრეებთან, როგორც აქციონერებთან შესრულებული ოპერაციებით.</p> <p>მთლიანი სრული შემოსავალი მოიცავს „მოგების ან ზარალის“ და „სხვა სრული შემოსავალი“ მუხლების ყველა კომპონენტს.</p>
---	---	---	---

ფასს-ების ფონდის პროცედურული პროცესის სახელმძღვანელო

<p>BV-BB გვ. C2239</p> <p>ფასს-ების ფონდის პროცედურული პროცესის სახელმძღვანელო</p>	<p>BV-ARB გვ. C2401</p> <p>BV-RB გვ. C2371</p> <p>BV-ABB გვ. C2267</p>	<p>2019 წლის ორტომეული შეიცავს <i>პროცედურული პროცესის სახელმძღვანელოს</i> არასწორ ვერსიას.</p> <p>სახელმძღვანელოს ამ არასწორ ვერსიაში წინა რიცხვით არის დათარიღებული ფასს-ების ტაქსონომიის პროცედურული პროცესისა და შესაბამისი ცვლილებების დამატება სახელმძღვანელოში, რომლებიც ნდობით აღჭურვილმა პირებმა 2016 წლის მაისში დაამტკიცეს.</p> <p>2016 წლის მაისში გამოცემული პროცედურული პროცესის სახელმძღვანელოს სწორი ვერსიის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ვებგვერდებზე www.ifrs.org და eIFRS.</p>	<p>[სახელმძღვანელოს ტექსტი ვრცელია და ამიტომ გამეორებული არ არის ამ დოკუმენტში.]</p>
--	--	---	--